შინაური საქმეები

№ 22.

კვირა, 6 ივნისი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების", რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: ნუ დაუყრით მარგალიტსა ღორთა! —ხელისა; გზა ჭეშმარიტებისა (შემდეგი)—მღ. ი. ლუკიანოვისა; ქადაგების საჭიროება და მისი აღდგენის აუცილებლობა.—მღ. ს. მაჭარაშვილისა; ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში—№;— ვოლტერი— სასწაულის მოწმე;— გიორგი თოდუა— ნეკროლოგი;— წაღმა—უკუღმა (მოთხრობა)—.წუთისოფლელისა;— მადლობის გამოცხადება.— რედაქციის ფოსტა.—

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე"

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

ნუ დაუყრით მარგალიტსა ღორთა!

(დეკ. ი. წერეთლის წერილის გამო*)

არიან ადამიანები, რომელთა გული გაქვავებულია ჭეშმარიტებისათვის. ისინი თავის ნებით დასცილდნენ სიმართლეს და, როგორც ბოროტნი სულნი, განმტკიცდნენ თავის ბოროტებაში და ამიტომ არ შეუძლიათ სწორად შეხედონ, თვალი გაუსწორონ უმაღლეს სინათლეს, სამარადისო ჭეშმარიტების ბრწყინვალებას. ასეთ კაცთა წინაშე ქრისტეს სწავლაზე, მის ღვთაებაზე და საზოგადოთ ქრისტიანულ მოძღვრებაზე ლაპარაკი წყლის ნაყვაა და ღორთა წინაშე მარგალიტის დაყრა. მაცხოვარს ერთი სიტყვაც არ დაუხარჯავს მღვდელმთავრების მოსაქცევათ, რადგან კარგათ იცოდა რომ იგინი მკვდარი იყვნენ ჭეშმარიტებისათვის. მას პასუხი არ გაუცია პილატეს კითხვაზე: „რა არის ჭეშმარიტებაო", მიტომ კი არა, რომ უჭირდა ამის პასუხი, არამედ მიტომ, რომ პილატეს ვერაფერი ვერ დაარწმუნებდა ჭეშმარიტების არსებობაში; იგი პრინციპიალურად, საზოგადოთ უარს ყოფდა ჭეშმარიტებას, ამიტომ ამ საგანზე პილატესთან მუსაიფი ტყუილი შრომა იქნებოდა. აგრეთვე მაცხოვარმა არაფერი უპასუხა ანნასა და კაიაფას შეკითხვაზე, მიტომ რომ ეს ღორთა წინაშე მარგალიტის დაყრა იქნებოდა. ეს მაგალითები თვალწინ უნდა ედგას მოძღვარს, როცა იგი მიუწვდომელ ჭეშმარიტებაზე მსჯელობას, ან ქადაგობს. ჩვენი გულგაქვავებული, ბიწიერების წუმპეში მცურავი, ატეისტები ვერ შეიგნებენ ჭეშმარიტებას, ვერ იცნობენ მარგალიტს და გასრესენ, ფეხქვეშ გაქელავენ მას. აგრეთვე ებრაელის გულიც კაი ხანია ვერ ითმენს იესო ნაზარეველს, და მის მოძღვრებას. აიღეთ მაგალითი ბებელებისა, რენანებისა, ჰეკკელებისა, დელიჩებისა, მარქსებისა და სხვებისაგან. რას არ იგონებენ, რა ზღაპრებს არ ჩმახავენ, ეს ვაჟბატონები, ეს მეცნიერების ბურჯები(?), რომ დაამცირონ ქრისტე და ყოვლად წმიდა დედა მისი ადამიანის თვალში, რომ გამოაცალონ მათ ფეხქვეშ საწმიდის ტახტი და ჩამოა-

საპატრიარქოს + ბიბლიოთეკა

უვანონ უბრალო მომაკვდავ ადამიანის ხარისხზე. განა ბ. გომართელმა ამას წინათ ნაკლები დანძღვით მოიხსენია მარადის ქალწული? მაშ ამის შემდეგ რათ უნდა გვაკვირდეს საქციელი ვიღაც სოფელში მაწანწალა საჩხერელი ურიისა და მისი უშვერი სიტყვები ღვთისმშობლის სახელობაზე? კიდევ უმეტესს ვხედავთ და ვისმენთ მათ შორის, ვინც ულირსად ატარებს ქრისტიანის სახელს. ვინც დღეს ქრისტესა და ქალწულის სახელს ბღალავს თავის უშვერი სიტყვებით და უფრო მოქმედებით, ყველა რომ საპყრობილეში ჩავსვათ გარეთ ბევრი აღარავინ დაგვრჩება და არც არაფერი გარიგდება ამით ისე, როგორც წარმართებმა და ებრაელებმა ვერაფერი გაარიგეს ქრისტიანების დევნით. საჭიროა, თვით მთესვარმა გაარჩიოს, სად და როგორ ნიადაგზე სთესავს სარწმუნოების მარგალიტებს. ყველა ნიადაგი ამისთვის არ გამოდგება. „ნუ დაუყრით მარგალიტსა ღორთა!“

ხელი.

ჭეშმარიტი გზა.

თამამედროვე უმრავლე სობას მიაჩნია მატერიალიზმი ულაზათო, უშნო სიტყვად, და სცდილობენ იგი შესცვალონ უფრო გაპატიოსნებული სახელწოდებით „რიალიზმი“. მარტო მხოლოდ რეალური არის ღირსი ყურადღებისა და ყოველ მხრით შესწავლისა, რაც უნდა უმზგავსო, საძაგელი, გაფუჭებული და უზნეობო იყვეს იგი—ამბობენ ისინი.—აქ, მხოლოდ რეალურში, უნდა მოიძებნოს საფუძველი ახალგაზდობის აღზრდისა. ყოველიფერი აუხსენით ბავშვებს; განაგრძობენ ისინი,—ნურაფერს ნუ დაუმალავთ, რაც უნდა ცუდი იყვეს იგი. როდესაც თქვენ ასწავლით ბავშვებს მხოლოდ რეალურს, მაშინ თქვენ აღზრდით იმათგან ნამდვილ „რეალურ“ ადამიანებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმის ვითარება არ გამოიცვლება იმით რა სახელს უწოდებთ ჩვენ ამა თუ იმ საგანს, ამა თუ იმ მიმართულებას. „რეალიზმის“ მიმდევრებსაც ისევე, როგორც მატერიალიზმის მიმდევრებს, გულსმოდგინებით უნდათ განსდევნონ თავიანთი ცხოვრებიდგან ყოველივე მაღალი, რაც მიწიურ სინამდვილეს აღემატება. აქ, მხოლოდ მიწაზედ, ისინი სახავენ მ ზანს თავის არსებობისას, და მთელი თავის ძალ ღონით სცდილობენ, რომ მიწიური ცხოვრებიდან, რაც-კი შეიძლება, ბევრი მატერიალური სიკეთე გამოიღონ თავიანთთვის და დასტკბნენ მეტი სიამოვნებით. სიტყვები: „რეალური კაცი“, „რეალური ხალხი“ თავის თავად, რასაკვირველია, უბრალო სიტყვებია, რომელნიც არ ეკარებიან არც სულს, არც გულს. თვითეული ჩვენთაგანის სინდისი, თუ-კი იგი სრულიად დახშობილი არ არის, მოწმობს, რომ ჩვენთვის საჭიროა და საინტერესოა იმის ცოდნა: კეთილია, თუ ბოროტი, ესა თუ ის ადამიანი, კარგია თუ ცუდი ის; ესე იგი, ჩვენ ხელმძღვანელობთ სულ სხვა თვალსაზრისით, როცა გვინდა დავაფასოთ ხალხი ან ცხოვრების მოვლენანი, და არა იმ თვალსაზრისით, რეალურია, თუ არა ისინი. რეალურები არიან ერთნაირათ კეთილი და ბოროტი პატიოსნური და უპატიოსნო, მართალი და ტყუილი,—მაგრამ აბა ვისი სინდისი გაჰბედავს ერთნაირი ფასი დასდვას ამა, თუ იმას, ერთნაირად მიიღოს სიკეთე და სიბილწე, სიმშვენიერე და უმზგავსება, თავისი საკუთრების მიცემა და სხვისი საკუთრების წართმევა, უწყინარობა და კაცის-მკვლელობა? ეს ხომ ყოველივე რეალურია, ვინაიდგან ყოველივე ეს ნამდვილათ ხდება. ადამიანისათვის საჭიროა იქონიოს სალი განწყობილება ქვეყანასთან და რაც მასზე ხდება, იქონიოს სწორე, ფხიზელი შეხედულება ქვეყნიური ცხოვრების ფაქტებსა და მოვლინებზე. და ეს მით უფრო აუცილებლად საჭიროა მისთვის, თუ იგი არის, მაგალითად, აღმზრდელი ბავშვებისა, ხელმძღვანელი ახალი თაობისა. წოდება აღმზრდელისა ავალებს კაცს მოამზადოს, რწმუნებული მისდამი, ბავშვებიდან ადამიანები, არა „სამარცხვინოდ გულგრილი სიკეთისა და ბოროტისადმი“, არამედ საუკეთესო,—რომელთაც შეეძლოთ იქონიონ ფხიზელი შეხედუ-

ლობა ცხოვრებაზე და სწორი, ჯეროვანი განწყობილება მასთან. ამნაირათ, საჭიროა ყოველი მასწავლებლისა და აღმზრდელისათვის, რომ მათ საფუძვლად თავის მოქმედებას დაუდვან ისეთი სახელმძღვანელო დასაბამი, რომლითაც ასეთი თუ ისეთი მსჯავრი ედებოდეს ყველაფერს, რაც ხდება, ისეთი ფასი ეძლეოდეს მას, რომლის ძალითაც ბავშვებს კარგი უნდა მიაღებინონ, და ცუდზე უარი აყოფინონ. საჭიროა ეს აგრეთვე საზოგადოთ ყოველი ადამიანისთვისაც. მაგრამ ასეთ სახელმძღვანელო პრინციპზე უარს-ჰყოფენ მატერიალიზმიც და რეალიზმიც, ან არა და, სცდილობენ გამოსძებნონ სახელმძღვანელო პრინციპი ყოფა-ქცევისათვის იმ გრძნობათა დაბალ ფორმებში, რომლებიც ართმევენ კაცს უმაღლეს ღირსებას„ როგორც მეფეს ბუნებისას“ და გვირგვინს ქმნილებისას, ჩამოჰყავთ მისი მეფობრივი სიდიადე უგონო პირუტყვთა ხარისხამდის. სხეული წმინდაა, ამბობენ ამ მიმართულების ბრძნები. ამაში არ არის ცუდი მიდრეკილებანი, დაემორჩილეთ მას, და ნუ ებრძვით, მიეცით თავისუფლება მის ყველა მისწრაფებათა დაკმაყოფილებას... რადგანაც კაცი პირუტყვს მიადარეს, მისი ზნეობაც უარჰყვეს, ასე რომ, სიკეთისა და ზნეობის ადგილი დაიჭირა მხოლოდ ხორციელი სიამოვნების და სარგებლობის ერთმა გრძნობამ. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ თუ კაცს ცნობიერება დაბრმავებული არა აქვს და სინიდისი დახშული არა აქვს, არ დაჰყაბულდება ასეთ ზნეობას და არ მიიღებს ცხოვრების ასეთ სახელმძღვანელო პრინციპებს.

ასაცილებლად ასეთ შეუსაბამო დასკვნათა, და აგრეთვე იმ აზრით რომ დაიცვან კაცის პიროვნების მაღალ-ღირსება, ახალი სწავლის მიმდევარნი სცდილობენ გამოსძებნონ მიზანი ცხოვრებისა და მისი სახელმძღვანელო პრინციპი პატიოსნურ, მაღალ ღირსების მოქმედებაში. მაგალითად, ის ნი უჩვენებენ მეცნიერებაზე, განათლებაზე, რომელიც მიაჩნიათ ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპებად; ზოგი ასახელებს კეთილ საქმეებს, კაცთა შორის სიყვსრულის გრძნობისა, და სოლიდარობისა. განვითარებას რასაკვირველია, იმისი უარყოფა არავის შეუძლიან, რომ მეცნიერება შეადგენს უდიდეს ძალას კაცის ცხოვრებაში. ცოდნა აძლევს კაცს შეძლებას მისწვდეს ცის საიდუმლოებს. იგი უხსნის მას დედამიწის ვითარებას და ზღვის უფსკრულს. იგი აღჭურავს კაცს ისეთი საშუალებებით, რომლითაც შეუძლიან მას ბრძოლა ბუნების მტრულად განწყობილ ძალებთან. იგი აძლევს კაცს შეძლებას დაიმორჩილოს ბუნების ძალები და კანონები და ამუშავოს იგინი თავის სასარგებლოთ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შეუძლებელია მეცნიერება ცხოვრების მიზნად აღვიაროთ, ან ცხოვრების ხელმძღვანელ პრინციპად ვიცნათ. როდესაც ჩვენ სწავლისკენ მივისწრაფვით, ყოველ მოაზრე ადამიანს აღეძვრის კითხვა: რისთვისაა საჭირო სწავლა, განსაკუთრებით, თუ იგი გაიხსენებს, რომ სწავლა ადვილი შესაძენი არ არის, და რომ მისი დასაწყისი მწარეა. იმის თქმა, რომ სწავლა საჭიროა სწავლისათვის არაფერს არ ნიშნავს და კითხვა გამოურკვეველადვე რჩება. თუ ვუპასუხებთ რომ სწავლა საჭიროა ცხოვრებისთვის, მაშინ თავის თავად ჩნდება მეორე კითხვა: რისთვისაა ცხოვრება და რაა მიზანი მისი?—რომ ვთქვათ, ცხოვრება ცხოვრებისთვის არისო, ეს სიტყვების თამაშობა იქნება და სხვა არაფერი. გარდა ამისა, ცოდნა სწავლა თავის თავად არის ძალა ცვალებადი, დაუდგრომელი. ის, რაც ეხლა არის გამოცხადებული უსათუო ჭეშმარიტებად, რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება ცნობილ იქმნას სიცრუედ. იყო დრო როდესაც ხალხს უეჭვოდ მიაჩნდა, რომ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავდა, ხოლო მიწა უძრავად იდგა; ეხლა კი აუცილებელ ჭეშმარიტებად არის ცნობილი, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარეშემო. მაგრამ ვინ იცის, იქნება დადგეს ისეთი დრო, რომ ამ ჭეშმარიტებასაც ეჭვი შეეპაროს. უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გარშეცულობა სწავლისა უსაზღვროა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა რომ ცოდნა და მეცნიერება განსაკუთრებით ამ

ბოლო დროს ძალიან ვითარდებიან. მაგრამ მაინც ეხლაც ქვეყნად უცნობელი იმდენია, რომ შედარებით ჩვენი ცოდნა არის, როგორც ერთი წვეთი ზღვაში. ამ შემთხვევაში დიდად სამართლიანი თქმულებაა ძველის ფილოსოფოსის სოკრატისა, რომ „იმან იცის ის, რომ არაფერი არ იცის". ხოლო მეორე უძველესი ბრძენი ამბობს სწავლის შესახებ: „რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ლმობა" (ეკლესიასტე 1, 18).

მეცნიერების დადება ცხოვრების საფუძვლად ნიშნავს ცხოვრების დამყარებას არა მაგარ საძირკველზე, ან სხვანაირად რომ ვსთქვათ, სახლის აშენებას ქვიშაზე. ცოდნა. სწორეთ რომ ვსთქვათ, მიზანი-კი არ არის, არამედ მხოლოდ საშუალებაა; მიზნისათვის, იგი არის მექანიკური სამსახურებელი ძალა. რა მიზნების მისაღწევად მოიხმარს კაცი სწავლას, ეს თითონ კაცზეა დამოკიდებული, რითი იხელმძღვანელებს იგი. მაშასადამე, სწავლა არის ორპირი გალესილი მახვილი. და ხშირად—დაუდგრომელი იმედი. ხიმიკოსის სწავლას, მართალია, შეუძლია აღმოაჩინოს ჩვენი ცხოვრებისთვის სასარგებლო ელემენტები და შედგენილებანი; მაგრამ მასთან, იგივე ამზადებს ჩვენს მომაკვდინებელ. და დამასახიჩრებელ ბომბებს; მექანიკის, ტეხნიკის და ფიზიკის ცოდნას შეუძლიან შესამჩნევად შესუბუქოს პირობები ჩვენის გარეგნული არსებობისა; მაგრამ იგივე ხან-და-ხან ხდება საშინელ იარაღად სიკვდილისა. ცოდნა მედიცინისა ამზადებს ჩვენი სხეულისთვის სამკურნალო წამლებს; მაგრამ იმასვე შეუძლიან შეჰქმნას დამღუპველი შხამები. საქმე იმაშია, როგორია კაცი, რომელსაც აქვს სწავლა, და უნდა თუ არა იმას რომ საკეთილოდ მოიხმაროს იგი. არ უნდა იმას ლაპარაკი, რომ „სწავლა სინათლეა, ხოლო უსწავლელობა სიბნელე". მაგრამ მაინც არ შეძლება იმის მიღება, რომ სწავლა არის საშუალება ყველა ბოროტებისაგან გათავისუფლებისა. ეს დებულება, რომ „სწავლა სინათლეა",—რა თქმა უნდა, ნამდვილი მართალია, თუმცა-კი იგი, როგორც საზოგადო დებულება, მოითხოვს ახსნას და განმარტებას. სამწუხაროდ ეხლა ძალიან ხშირათ ხალხი მიდის საგანთან და ხსნის რომელიმე კითხვას „საზოგადო დებულებათა თვალთსაზრისით", მარტო გარეგნულად არჩევს საგანს, მის შინაგანს არ აკვირდება. უნდა დაბეჯითებით ითქვას, რომ ხშირად არა სწავლა, არა ცოდნა ხელმძღვანელობს კაცის მოქმედებას, არამედ რაღაცა სხვა. მკვლელმა კარგად იცის ყველა უსიამოვნო და ძნელი შედეგები თავის საზიზღარი საქციელისა, მაგრამ ეს არ აყენებს მას თავისი ბოროტი განზრახვის შესრულებისაგან. ლოთმა აგრეთვე კარგად იცის, რომ დღევანდელი ბევრი ქეიფის შემდეგ, ხვალ დილით თავი ეტკინება და ტანში მოშლილი იქნება; მაგრამ ამ ჭეშმარიტების ცოდნა ვერ აშინებს მას.

(შემდეგი იქნება).

მღ. იოანნე ლუკიანოვი.

ქადაგების დიადი საჭიროება და მნიშვნელობა ქრისტეს ეკლესიაში და მისი აწინდელი დაცემული მდგომარეობის აღდგენის აუცილებლობა.

დღიდან დაარსებისა ქრისტეს ეკლესიისა ქვეყანაზედ, ქადაგება შეადგენდა ღვთის მსახურების უსაჭიროესს კუთვნილებას და ასეთი უცილობელი მნიშვნელობა ჰქონდა მას არა უსაფუძვლოდ. ქადაგებით დაიწყო უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ აღსრულება თვისი დიდებული საქმისა ქვეყანაზედ; იგი გამოდის რა გალილეაში, ქადაგებით იწოდებს ხალხს სახარების სარწმუნოებისადმი (მრკ. 1, 15; მათ. 4, 17). შემდეგაც ბოლომდის საზოგადო სამსახურის ხანა ნაცხოვრისა ხალხისადმი, შეუწყვეტელი ქადაგების დრო იყო, რისთვისაც მასწავლებლად უწოდებდენ მ.ს როგორც მოციქულები, აგრეთვე ხალხი. ქრისტეს სარწმუნოების პირველმა მქადაგებლებმა, წმ. მოციქულებმაც ქადაგებითვე გაა-

ვრცელეს ხსენებული სარწმუნოება ხალხში, ვინაიდგან მათ მტკიცედ აღასრულეს თვისი მასწავლებლის და უფლის მცნება, რომელმაც უანდერძა მათ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელს-ცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ" (მათ. 28, 19-20), „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა „(მარკ. 16, 15). იმას გარდა, რომ მოციქულები თვით ქადაგებდნენ, ამნაირივე მოვალეობა დაუძინებელი მღვიძარებისა და მუდმივი მოძღვრებისა ცხოვართა სარწმუნოებასა ზედა მისცეს თავის მოადგილეებს მწყემსებს და მათის სახით წმ. ტრაპეზის მოსამსახურეებს, მოძღვრებს. წმ. მოციქული პავლე სწერს თავის საყვარელს მოწაფეს ტიმოთეს: „ვსწამებ მე წინაშე ღვთისა და უფლისა იესო ქრისტესსა, რომელმან განსაჯნეს ცხოველნი და მკვდარნი, გამოჩინებისაებრ მისისა, ჰქადაგე სიტყვა, ზედა-ადეგ ეამითი უეამოდ, ამხილე, შერისხენ და ნიგეშინისეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა" (2 ტიმ. 4, 1-2); მასვე და ტიტეს უბრძანებს აღრჩევად და დადგინებად მწყემსებად კიცთა სწავლულთა, შემძლებელთა ნუგეშინის-ცემადცა მოძღვრებასა მას შინა სიცოცხლისასა და სიტყვის მგებელთა მათ მამხილებელთა (I ტიმ. 3, 2; ტიტ. 1, 9). როდესაც მსჯელობს მოძღვრებზე, აი რას ამბობს იგი „რომელნი კეთილად სძღოდიან ხუცესნი ორის ნაწილის პატივისა ღირს-იყვნედ, უფროს ხოლო რომელნი შვრებოდენ სიტყვითა და მოძღვრებითა" (I ტიმ. 5, 17). წმ. მოციქულების მოწაფეებიც ბეჯითად ასრულებდნენ თავის მასწავლებლების მცნებას; როგორც იმათ დროს, აგრეთვე მათ შემდეგაც ქადაგება არ შეჩერებულა ქრისტეს ეკკლესიაში. გაისმა დიდებული ხმა დიდებული მქადაგებლებისა, წმიდათა შორის მამათა ჩვენთა და მსოფლიოთა დიდთა მოძღვართა და მღვდელთ-მთავართა: ვასილი დიდისა, გრიგორი ღვთისმეტყველისა, იოანე ოქროპირისა (ოქროპირად წოდებულისა სამაგალითო მქადაგებლობისათვის) და სხვათა მრავალთა მამათა და მოძღვართა ეკკლესიისათა. მეოთხე და მეხუთე საუკუნეები ქრისტეს შემდეგ, ოქროს ხანა იყო მქადაგებლობის აღორძინების და აყვავების საქმეში. მაშინდელი ქადაგებებით ვსაზრდოთ ჩვენ, მითვე ისაზრდოებს და იხელმძღვანელებს ჩვენი შთამამავლობაც. იმ დროდგან დაწყებული ბოლო დრომდე ძვირად თუ შეჩერებულა ქადაგება ქრისტეს ეკკლესიაში, ხოლო როდესაც შეჩერებულა სარწმუნოების და ეკკლესიის კეთილ-დღეობის საქმეს თვალსაჩინო ზიანიც მისცემია ხოლმე სარწმუნოების მტერთა და მოღალატეთა მიერ.

ქადაგების დიდი საჭიროებიდან გამომდინარეობს მისი დიდი მნიშვნელობაც. უმეტესი ნაწილი სარწმუნოებისა ადამიანმა ქადაგების საშუალებით უნდა შეითვისოს; ასე რომ არ იქნება ქადაგება, არ შეიძლება წესიერი შეთვისება თვით სარწმუნოების უმთავრესი ცნებებისა. წმ. ეკკლესია ქადაგებას უყურებს, როგორც ერთს სარწმუნო საშუალებათაგანს, მიმყვანს ხალხისას ზნეობრივ სისრულემდი, ღვთისადმი და საუკუნო ცხოვრებისადმი, რადგანაც იგი (ქადაგება) განანათლებს ჩვენს გონებას სარწმუნოების ჭეშმარიტი ნათელით, გაგვიღვიძებს გულში საღვთო სიყვარულს და წარმართავს ჩვენს ნებას დაუსრულებელი სიკეთისადმი. „რომელსა ესე ჩვენ ვქადაგებთ", ამბობს წმ. მოციქული პავლე, „ვასწავებთ ყოველსა კაცსა და ვმოძღვრით ყოველსა კაცსა, ყოვლითა სიბრძნითა, რათა წარუდგინოთ ყოველი კაცი სრული ქრისტე იესოს მიერ" (კოლ. 1, 28). წმ. წინასწარმეტყველის იოელის სიტყვისამებრ, ცხოვნება სრულდება ღვთის სახელის მოწოდებით (იოელ. 2, 32), მაგრამ, „ვითარ უკვე ჰხადონ, რომლისა მიმართ არა რწმენა, ანუ ვითარმე რწმენეს რომლისა არა ისმინეს, ანუ ვითარმე ისმინეს თვინიერ ქადაგებისა" (რომაელ. 10, 14). ქრისტეს ეკკლესია მაცხოვრის ნებითა და გარდაწვეტილებით მოწოდებულია დაუსრულებელი გავრცელებისადმი; მის წრეში უნდა შევიდეს ყველა ხალხი, ხოლო ყოველივე ესე

შესაძლებელია ქადაგებით, ამისათვის ქადაგება უნდა არსებობდეს ყოველთვის ქვეყნის დასასრულამდე. ამნაირი დიდი საჭიროება და მნიშვნელობა ქადაგებისა კარგად ჰქონდათ შეგნებული კერძოდ ჩვენს წინაპრებსაც; იგინი ძველიდანვე შეუდგნენ ქადაგების აღორძინების და განმტკიცების საქმეს. იმ დროში შეუძლებელი იყო ქართველთ შორის ვინმეს სამღვდელო ხარისხი მიეღო და ქადაგება-კი ზედმიწევნით არ სცოდნოდა. ჩვენს ეკლესიებში კვირა-უქმი დღეებში განუწყვეტლივ განისმოდა ქადაგების ხმა. როგორც მოწმობს ჩვენი საერო და საეკლესიო ისტორია, ბევრი სახელოვანი მქადაგებელი ჰყოლია ჩვენს ეკლესიას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჟამთა ვითარებისა გამო მათმა ქადაგებებმა ჩვენ დრომდის ვეღარ მოაღწია; ასე რომ XVIII საუკუნემდე, მრავალნი ჩვენნი კათალიკოზნი, ეპისკოპოსნი და მღვდელნი საუკეთესო მქადაგებლებად ითვლებოდნენ. გაიარა ძველმა დრომ, დადგა ახალი ხანა, ხანა აზრთა მოძრაობისა, სარწმუნოების შესუსტებისა, ზნეობის დაქვეითებისა; თუ ოდესმე ქადაგება საჭირო ყოფილა, მით უმეტეს საჭიროა იგი ახლა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა, ძალიან ძვირად ისმის მისი ხმა. მართლაც, რამ უნდა დააკმაყოფილოს ხალხის სხვა-და სხვა სულიერი და ზნეობრივი მოთხოვნილებანი?—ნუთუ მარტო წირვა-ლოცვის მოსმენამ? მაგრამ სხვას რომ ყოველივეს თავი გავანებოთ, წირვა-ლოცვას და საერთოთ ღვთის მსახურებასაც ხომ ახსნა-გმნმარტება ესაჭიროება, ეს კი შესაძლებელია ქადაგების საშუალებით, მაგრამ ქადაგება აღარ ისმის, მქადაგებელი სანთლით საძებარი გაგვხდომია. ხალხს ვემდურით, სარწმუნოებაზე გული აიცრუვაო, ეკლესიაში აღარ დაიარებაო, მაგრამ უსაფუძვლო სამდურავია. როგორ არ შეუსუსტდება ხალხს სარწმუნოება, როდესაც მას გამოღვიძებელი და გამაფხიზლებელი აღარა ჰყავს, რათ მოვა იგი ხშირად ეკლესიაში, როდესაც გალობა აღარ იზიდავს მის გულს, ქადაგება აღარ აღაფრთოვანებს მის სასოებას, ვინაითგან საერთოდ რომ ვსთქვათ, ერთსაც და მეორესაც ეკლესია თითქმის მოკლებულია? ერთი სიტყვით, ღვთის-მსახურებას უქადაგებოთ ფასი და მნიშვნელობა თუ არ ეკარგება, აკლდება მაინც ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა სარწმუნოების და ზნეობის დამცირებისა და აღდგენის შესახებ, მაგრამ ნათქვამს კიდევ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სამღვდელოება მიუცილებლად მქადაგებლობას და გარეშე ღვთის-მსახურების საუბრების გამართვას უნდა შეუდგეს ხალხთან, თორემ ეჰვი არაა სარწმუნოების და ზნეობის საქმე კიდევ უფრო შესუსტდება ხალხში. ამისათვის აუცილებელია, ახლა მაინც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სამღვდელოებამ ამ ფრიად საჭირო საგანს, უცოდინარობის მიზეზითაც არაფერი გვეპატივება, არც ის კმარა, რამოდენიმე მღვდელი ქადაგებდეს, დანარჩენი-კი გაჩუმებული იყოს; საერთოდ მთელი სამღვდელოება უნდა ჩაებას ამ დიდ მნიშვნელოვან საღმრთო ფერხულში და მაშინ იმედიც ვიქონიოთ, რომ ჩვენ კეთილ ცხოვრებასთანა და ყოფაქცევასთან ერთად მოძღვრება-ქადაგებათა და საუბრების გამართვა ხალხთან კეთილ ნაყოფსაც მოგვიტანს, სარწმუნოების და ზნეობის საქმეც უკეთ წავა და ხალხი ნდობასა და სიყვარულსაც უფრო დავიმსახურებთ. ამიტომ კი საჭიროა, შესდგეს განსაკუთრებული წრე მცოდნე სამღვდელო-პირთაგან, რომელმაც უნდა იმაცადინოს და დროს შესაფერი ქადაგებების და საუბრების ფურცლები, აგრეთვე სარწმუნოებრივი და კეთილ-ზნეობრივი შინაარსის წიგნაკები, მიაწოდოს სამღვდელოებას ეკლესიებში წარმოსათქმელად და ხალხში გასავრცელებლად. ამ საქმის მოწყობა, ღვთის შეწევნით, ძნელი არ იქნება, ვინაიგან იმედია, ჩვენი განათლებული მოძღვრები თავის ცოდნასა და შრომას არ დაზოგავენ ამ წმიდა და სასარგებლო საქმისათვის. ამ საქმის ხელის შეწყობა და განმახორციელებელი იქნება ახლად დაარსებული იმერეთ. წმ. გიორგის სარწმ. განმ. „ძმობა", რომლის წევრობაც აუცილებლად თვითეულმა ეკლესიის კრებულმა უნდა იკისროს. იმედია, ამ დიდად საჭირო და სასარგებლო საგანს ჯეროვანს ყურადღე-

ბას მიაქცევს სამღვდელოება და სარწმუნოების და ხალხის გულშემატკივარნ სულიერნი მამანი თავის აზრსაც გამოსთქვამენ ბეჭდითი სიტყვის საშუალებით ხსენებული საქმის მოწესრიგების შესახებ.

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მოგზაურობა გურიაში.

შემდეგ მცირე სადილისა მამა ჩხარტიშვილის ოჯახში, გავემგზავრეთ ცხენებით სოფ. ხრიალეთში. გზები მეტად უვარგისებია. დარი რომ არ ყოფილ-ყო, ტალახში ჩავეფლებოდით და ბედაურებიც ვეღარ ამოგვზიდავდნენ.

ხშირი ბინდი იყო, რომ ხრიალეთს მივახწიეთ და ამიტომ ეკლესიაში არავინ დაგვხვედრია. ყოვლად სამღვდელომ მაინც დაათვალიერა ხრიალეთის შტატის ეკლესია და დიდათ შესწუხდა ტაძრის გამოუთქმელი სიღატაკისა და მოუწყობლობის გამო. ხალხი დაბარებულ იქმნა მეორე დღისთვინ. დილით ყოვლადსამღვდელომ ინახულა ხრიალეთის ზედ-მიწერილი ეკლესია. ეს ზედ-მიწერილი ეკლესია, რამდენიმე წლის წინეთ ეკუთნოდა წყალწმინდის ძმობას, და მას განაგებდა ბ. სვ. ქორიძე. ხსენებულ ძმობას აზრად ჰქონდა ამ ეკლესიასთან მონასტრის დაარსება. როგორც მითხრეს, სვ. ქორიძე სასტიკი მოღვაწე და მოტრფიალე ყოფილა ბერობისა, მაგრამ სამწუხაროთ, მოძრაობას ისე უმოქმედნია სამოცდაათ წლამდე მიხწეულ კაცზე, რომ ხელი აუღია ბერობაზე და ცოლ-შვილობას მოჰკიდებია. ეკლესია ქვისაა, ხელოვნობის მხრით დიდ არაფერს წარმოადგენს, ღარიბადაა მოწყობილი და ობლად გადმოიყურება მოტიტვლებული მთის მაღალი წვერიდან. ეკლესიის მახლობლად წყალ-წმინდაის ძმობას ჰქონია საკუთარი სახლი, რომელშიაც ეხლა მოთავსებულია სამინისტრო სკოლა. დიდად შემცდარა და მძიმე დანაშაული ჩაუდენია ვინც აქ სკოლა გახსნა. ამ ციცაბოზე სიარული მეტადრე თოვლსა და ცუდ დარში, ნამდვილი წამებაა ბავშვებისათვის. ეკლესიის ეზოში ხალხი ბლომად მოგროვილიყო. მღვდელმთავარმა შეგროვილებს აუხსნა, რომ უღვთოობა კაცის დამცირებაა და განათლებულ ქვეყნებში უღვთოს სასტიკად ეკიდებიანო. ერთი ჩვენებური ახალგაზდა, ბძანა მქადაგებელმა, სწავლობდა ამერიკაში, რომელსაც მეტ სახელად თავისუფლების ქვეყანა ჰქვიან. ამ ახალგაზდას არ მოსწონებია, რომ მისი მასპინძლები ღვთის მოსიყვარულენი იყვნენ და ერთხელ შეუფერებელი სიტყვები დაუხარჯავს მათ ღვთისნიერებაზე. ამის შემდეგ ხსენებული ახალგაზდა საჩქაროთ დაუთხოვნიათ თავიანთი ბინიდან სახლის პატრონებს. დათხოვნის მიზეზი მაშინვე გაუგია მთელ უბანს და საცა მისულა უბედური ახალგაზდა, ყველგან უარი უთქვამთ: არა, ჩვენს ოჯახში უღვთო კაცს ვერ დავაყენებთო! კაცს რომ ღმერთი არ სწამდეს, ის ან მახინჯი უნდა იყვეს გონებით, ან უბრალო ცხოველი, დაამთავრა ყოვლად სამღვდელომ სიტყვა. ბოლოს უბრძანა მსმენელებს: შტატის ეკლესია მოუწყობელი გაქვთ, ეს უტყუარი ნიშანია თქვენი სარწმუნოებრივი დაუდევრობისა და გულგრილობისა, გთხოვთ, დაუყონებლად შეუდგეთ თქვენი ეკლესიის გამშვენებას, თორემ იძულებული ვიქნები გავაუქმო თქვენი ეკლესია და ეს კი თქვენთვის დიდი დასაკლისი იქნებაო. დამსწრეთ აღუთქვეს ეკლესიის გამშვენება და ბოდიში მოიხადეს მისი მეუფების წინაშე, რომ უდროობის გამო, ეკლესიაზე ვერ შეხვდნენ. აქვე რამდენიმე პირმა უჩივლა ბ. ქორიძესა სასაფლაოს თობაზე. ბ. ქორიძე უჩიოდა ხალხს სასულიერო მთავრობასთან და არ ანებებდა მათ სასაფლაოს, იმ მიზეზის გამო. ვითომც ეს სასაფლავო ახდენდეს წყაროს, რომლითაც სარგებლობს მასწავლებელი. ყოვლად სამღვდელომ დაათვალიერა წყარო და ბ. ქორიძის საჩივარი უსაბუთო გამოდგა, ამიტომ ხალხს მიეცა უფლება ისარგებლოს სასაფლაოთი. შემდეგ მისმა მეუფებამ გამოსცადა

ბავშვები და ყველა საგნებში სუსტები აღმოჩნდნენ.

აქედან ყოვლად სამღვდელო წაბძანდა მიქელ-გაბრიელს და ჯერ ადგილობრივი სამინისტრო სასწავლებელი ინახულა. მისი მეუფება მეხუთე განყოფილების ბავშვებს შეეკითხა: „რათ ჰქვია თქვენ სოფელს მიქელ გაბრიელი? ან რომელი წმინდანის სახელზეა აშენებული თქვენი ეკლესია? ვინ არის მიქელი და გაბრიელი“? სამწუხაროთ, ბავშვებმა ვერც ერთ კითხვაზე ვერ მისცეს შესაფერი პასუხი. აღსანიშნია, რომ ბავშვები მეტ წილად ფეხშიშვლები იყვნენ და რამდენიმეს ტომრები ჰქონდათ გამოკერილი და ისინი ეცვათ ზევითა პერანგებათ. ნუ თუ ამისთანა გაპივრებული ბავშვების დედ-მამას არ ღალატობენ ის ბატონები, რომლებიც გულ მოდგინეთ არ ასწავლიან ბოვშვებს? განა უღირსი მასწავლებლების ჯამაგირი ხალხის ჯიბიდან ამონაღები არ არის?

შემდეგ ყოვლად სამ-ღვდელომ ინახულა ზენობნის ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი. სასწავლებელი ჯერ ორი წლისაც არ არის, მაგრამ მოსწავლეები საკმარისად განუვითარებია მასწავლებელს ქალბატონ კეპეკმაძისას, რისთვისაც მადლობა უბძანა მას ყოვლად სამღვდელომ და წაბძანდა ზედუბნის ეკლესიაში.

ეს ეკლესია ქვისაა და მარანს უფრო წააგავს, სინამ ეკლესიას. რაც უნდა ნათელი დღე იყვეს, მღვდელი ეკლესიაში უსანთლოდ წიგნს ვერა გზით ვერ წაიკითხავს; გარდა სამი ძველებური ვერცხლის ხატისა, ეკლესიაში არა მოიპოვება-რა. აქაც მისმა მეუფებამ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და უბრძანა მსმენელებს, რომ იზრუნონ ეკლესიის გამშვენებაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხი ყველგან აღტაცებით ისმენდა მღვდელმთავრის დარიგებას და ყველგან თანახმობას აცხადებდა ეკლესიის შემკობაზე. ცილის წამებაა, გურიაში სარწმუნოება აღარ არისო. არა, გურულს ჯერ კიდევ საკმარისად უცემს გული სარწმუნოებისთვის და ამ კუთხეში მშვენიერ ყვავილად გადიშლება ქრისტიანობა, თუ კი ხელს შემწყობად და მუშაკად ეყოლება შეგნებული და ღვთისნიერი სამღვდელობა. სიტყვის გათავებისა და ხელზე მოხვევის შემდეგ ყოვლად სამღვდელო მიიწვია ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მამა იოანე კეპეკმაძემ.

ნასადილევს, ოთხ სათზედ, ძვირფასი მგზავრი წაბძანდა ს. მიქელ გაბრიელის ეკლესიაში. ეკლესია ხისაა, მოუწყობელი, უხატო და უსამკაულოა. შესაფერი დარიგების შემდეგ, მღვდელმთავარმა მიაქცია მსმენელების ყურადღება ეკლესიის სამწუხარო მდგომარეობას და უბძანა—თუ თქვენ მრევლის სიმცირისა და სიღარიბის გამო გემძიმებათ რიგიანი ეკლესიის გაწყობა, მიეწერეთ მახლობელ მრევლსაო.

აქედამ გავემგზავრეთ სოფ. სამღვთოში. აზოგადოთ გურია-ნთის საბლაღოჩინო ოლქის ნიადაგი ძალიან მწირი და მთა-გორიანია. აქ არ სჩანან შეგნებული და განვითარებული მეურნეობის ნიშნები; გარდა გადაკაფული თხემლებისა და ზედ ასული ადესისა, მგზავრის თვალს ვერაფერზე მოუსვენია. *) ვისაც ლეჩხუმში უმოგზაურია, დამეთანხმება, რომ ამ მხრივ ლეჩხუმი გურიანათზე გაცილებით მაღლა სდგას. ხშირად შეგხვდებათ სასოფლო შკოლები, მაგრამ რის მაქნისია შკოლა, თუ იგი არ აწინაურებს მცხოვრებლებს გონებრივათ და ქონებრივათ.

სამხთო ფართო დალაზათიანი ეკლესია მთლათ სავსე იყო ხალხით. მცირე პარაკლისის შემდეგ, რომლის დროსაც გალობდნენ ადგილობრივი სამრევლო სშკოლის მოწაფეები, ყოვლად სამღვდელომ გრძნობიერი სიტყვით მიმართა მსმენელებს ,,მოხარული ვარ, რომ არ დაგვიწყებიათ და მღვდელმთავრისაგან ლოცვა-კურთხევის მისაღებათ მშობლებს მოგიყვანიათ თქვენი პატარა შვილები. შვილები ღვთისაგან ნაბოძები საუნჯეა და ვაი იმ მშობლებს, რომლე-

*) ბედნიერ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მიხეილ და ეკ. მილე ნაკაშიძეების მშკენიერი ვენახები, ხეხილის ჩაღები და ჩაის ბუჩქის პლანტაციები.

ბიც არ გაუფრთხილდებიან ამ საუნჯეს, რომლებიც ზნეობრივად გარყვნიან და მოსწყვეტენ ბოვშვებს ქრისტეს ეკლესიიდან. „ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხჰყოთ ერთი მცირეთა ამათაგანი; გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინაო'', გვიბძანებს ყველას მაცხოვარი იესო ქრისტე. როგორც მამებს, ისე დედებს გავალებთ თქვენი შვილები აღზარდოთ ქრისტეს სახარებისეყვარულში. ნუ დაუჯერებთ იმ ცრუ მქადაგებლებს, რომლებიც უღთოობას გასწავლიან, გარეშე ქრისტეს სახარებისა ჩვენ არარა ვართ. თუ დედებს გინდათ, რომ მოსიყვარულე და პატივის მცემელი შვილები გყავდეთ, ეცადეთ აკვანშივე ტკბილ ნანასთან ერთათ ქრისტეს სიყვარული უშღეროთ თქვენ შვილებს. წინაალმდეგ შენთხვევაში ღვთის მადლი ღვთის წყევათ გადაგექცევათ, და ურწმუნო შვილები სულის ამომხდელ ჯალათებათ გაგიხდებიან მშობლებსაც და სოფელსაც''.

ათს მარტს, დილით, სასწავლებლის დათვალიერების შემდეგ, ეკლესიის გალავანში თავმოყრილმა ქალმაღკაცმა სთხოვეს ყოვლად სამღვდელოს მიცვალებულების საფლავების კურთხევა და პანაშვიდების გადახდა. ქვა ხომ უგრძნო. ბელია, მაგრამ ამასაც გაათბობდა ხალხის განუსაზღვრელი სარწმუნოებრივი სასოება და ქრისტიანული ლმობიერება. არა, ღმერთი ნამდვილათ ხალხში ცხოვრობს! ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ვთალით ვიხილე დიდებული წამი ხალხის სარწმუნოებრივი აღფრთოვანებისა.

სამხთოდან წავედით სოფ. ახალ საყდარში. აქაც ეკლესია და ეზოც სავსე იყო ხალხით. ეკლესია ხისა, პატარა და მოუწყობელია, წვიმაში და ქარში ყოვლად შეუძლებელია ამ ეკლესიაში საღმთო მოქმედების შესრულება შემდეგ ჯეროვანი სწავლა დარიგებისა, ეპისკოპოსმა მიმართა მსმენელებს: „თქვენ თითონა ბრძანეთ, შეიძლება ასეთი ეკლესიით თავი მოიწონოთ? შეგიძლიანთ იმის თქმა, რომ ეკლესია გაწყობილი გაქვთ ჩვენი დიდებული სარწმუნოების შესაფერისად? მე რომ გესტუმროთ ვისმეს ოჯახში, დარწმუნებული ვარ, ამ ეკლესიაზე უკეთეს სახლს მომიძღვნით და, თუ, სამწუხაროდ, ამაზე უკეთესი სახლი არ გამოჩნდა მთელ სოფელში, ათას ჯერ ბოდიშს მოითხოვთ და მეტყვით: „ბატონო, უკაცრავათ, თქვენი მიღების საკადრისი სახლი არა გვაქვს და ამიტომ ვერ გავიბედავთ მიღებასო.'' თუ კი კერძო და უბრალო კაცის დაფასება ვიცით, რამდენათ უფრო მეტათ უნდა ვაფასებდეთ ღვთის სახელს და რამდენად მეტათ მოწადინებული უნდა ვიყვეთ ღვთის სახლის გამშვენება—მოწყობისათვის. თქვენ მეტყვით, ღარიბები ვართ, ათასმა გადასახადმა წელში გაგვღუნა და გაგვანადგურაო დავიჯერებთ. მეც ვხედავ, რომ ასეა თქვენი საქმე. მაგრამ როცა შეძლება გქონდათ, რატომ მაშინ არ გიზრუნიათ ამაზედ? დღეიდამ ეკლესია დაყენებული იქნებაო, დააბოლოვა მეუფემ, მინამ შეაკეთებთ, როგორც შეეფერება ღვთის სახლს, და თუ არ გსურთ და შეძლება ხელს არ გაძლევთ, მაშინ შეგიძლიანთ მახლობელ მრევლს შეუერთდეთ და აქ შტატი დაიხურებაო''. ხალხმა მოახსენა ყოვლად სამღვდელოს: „რავქნათ, ბატონო, აქამდის აგრე გარკვევით არავის დაუკალებია; ჩვენთვის ეკლესიის გაკეთება და არც ხელმძღვანელი გვყოლია, მოგვეცით დრო, რამდენათაც შევძლებთ, შევაკეთებთო.

ახალ საყდრიდან მისი მეუფება გაემართა ხვარბეთის მრევლში. აქ პირველათ ინახულა ხვარბეთის ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და მერე წაბძანდა სოფლის ეკლესიაში, რომელიც მაღლა მთაზეა აშენებული და ძველებულია; ქვიტკირი შეკეთებას თხოულობს. ეკლესიის ეზოდამ მშვენივრათ მოსჩანს შავი ზღვა, ბათუმი და ფოთის მაიაკი. ხალხი აქაც ბლომათ შეგროვილიყო. სწავლა დარიგების მოსმენის შემდეგ, ხალხმა სთხოვა ეპისკოპოსს, გვიშუამდგომლეთ გუბერნატორთან, გვაკმაროს და გაიყვანოს კაზაკები, რომლებიც აგერ ექსი თვეა „ზეკუციათ" ჩაგვიყენესო. ეპისკოპოსიც

შეპირდა შუამდგომლობას, თუ კი რასმეს გავაწყოფო.

ნამეტანი დაღლილობის გამო ყოვლად სამღვდელომ ველარ შესძლო შენდობის ლოცვების წაკითხვა და ამის გამო ხალხი მეტად გულ დაწყვეტილი დარჩა.

შებინდებისას ნახული იქმნა ახლად გაკეთებული კვანჭკეთის ხის ეკლესია, რომელიც მთლად მოუწყობელია. აქაც სთხოვეს მისს მეუფებას შუამდგომლობის გაწევა მთავრობასთან კაზაკების'' ე. ი. ,,ზეკუცის'' მოხსნაზედ. „გავტყავდით, ბატონო, მეტი აღარ შეგვიძლიან, აღარც შინაურს ვებრალებით და აღარც გარეულს, ღმერთი რჯული, არ ვიცით ის ფირალი კაცები სად იმალებიან და მთავრობა კი გვიბძანებს მოგვეცითო"...

ღამე მისმა მეუფებამ გაათია სოფ. მონასტერში ადგილობრივი მედავითნის ფ. მამინაიშვილისას. თერთმეტ მარტს, დილის ცხრა საათზე, მღვდელთმთავარი აბძანდა მონასტრის ეკლესიაში, რომელიც აშენებულია შესანიშნავ მაღლობზე, ეკლესია ძველი-ძველთაგანია და ვინ იცის რა დროების მოწამეც. კარებზე წარწერა ჰქონია, მაგრამ დროთავითარებას იგი გაუცვეთია. თვით ტაძარი პატარაა, სამი ან ოთხი საჟენი ექნება სიგძე და ორი სიგანე. ყურადღებას იქცევენ კანკელის ხატები მოხდენილობით და ხუცური ასო მთავრული წარწერით. ეს ხატები, წაბლის სქელ ფიცრებზეა დახატულები და თვით ფიცრებს ეტყობათ უკანა მხრიდან, რომ იგინი ცულით არის გათლილნი, ეკლესიას გვერდზე ეგუტრებიც ჰქონია. ერთი ეგვუტერი სახლათ გაუკეთებიათ ამ რამდენიმე წლის წინეთ ერთ ბერს და შიგა მდგარა. ამ ბერს ძალიან წმინდა და ზნეობიან კაცათ სთვლიან ბევრს მოხუცებულებს დღესაც ახსოვთ მისი ღვთიური დარიგება. იგი იმ კელიაში გარდაცვლილია და იქვე დაუსაფლავებიათ. მეორე ეკედერი კი მთლათ დანგრეულია და დღეს მარტო სარძიკველი, სვეტები და თალის ქვებილა მოსჩანან. შიგ ეკლესიაში კედლებზე მხატრობა აღარ მოსჩანს, რადგანაც შეუფეთრებიათ. ყოვლად სამღვდელომ აკურთხა ხალხი და შემდეგ სამი ვერსი ფეხით გაიარა, რადგანაც ცხენზე შეჯდომა საშიში იყო ცუდი გზების გამო.

№

მაისის დილა.

(ურითმო პოეზია).

დიდებული სანახაობაა! აღმოსავლეთი ალისფრათ შეღებულა; ალიონის ვარსკვლავი, მთვარის მიმალვის შემდეგ თავმომწონეთ ანათებს, თითქოს მნათობთა შორის ბურთი და მოედანი მას დარჩენოდეს. სხვა ვარსკვლავებიც მხიარულათ ციმციმებენ, ერთი მეორეს შეჯიბრებიან თითოეული მათგანი, თითქოს გადმოხედვას ლამისო... რიონის ხმაურობა ღამის მყუდროებას არღვევს. მთებზე ფესმოკიდებული თოვლი გაზაფხულის სიმხურვალისაგან გამდნარა, დანქერათ გადაქმნილა, ტალახათ ქცეულა, და წყევლა-კრულვით დაბლისკენ მიექანება; ამის მიზეზით რიონს, თავისი სისპეტაკე, წმინდა, ანკარა სახე დაუკარგავს!... ენკენისთვის ღამე რომ იყოს, ეს მოციმციმე ვარსკვლავთა გროვა რიონის სიღრმეში, ისეთ სანახაობას წარმოადგენს, გეგონება, ცა თავისი მნათობებით დედამიწაზე ჩამოსულა და რიონის ანკარა სიღრმეში ფერხულს თამაშობსო. ამ დროს თევზები სტყუვდებიან: მოციმციმე ვარსკვლავნი სპეტაკ წყალში ტკბილ მარცვლებათ უჩვენებიან და დასაჭერათ ეტანებიან; ახლა კი აქაფებულ რიონის ტალღას კედელზე მიურეკია და ტალახისაგან თვალ-ამწვარი წყლის დაწმენდას ნატრობენ. ხმელეთზე კი, მობერილი ნიავი ყვავილთა სუნნელებას ფენს ადამიანთა სულისა და გულის დამტკბობ-გამაღვიძებელ უკვდავებათ.... ბულბულთა წკრიალა ხმით საამური გალობა გულს სალბუნათ ხვდება...ბუნების სიდიადეზე შენს ფიქრებს, მისი გამაცოცხლებელი წანწკარა ხმები შიგ შუა გულში სანუტაროთ ექარგებიან... აღმოსავლეთიდან მეტათ მოაძალა სინათლემ. ალიონის ვარსკვლავს სხივი აკლდება; კვლავ და კვლავ ოდნავ მობერილმა ნიავმა ფოთლები ააშრიალა!

კოკრებში შეგუბებული სული მიმოფანტა, უკვდავების სულნელება არემარეს მოფენა და ენოსვა გამოუოქმელი სიტკბოთი დაამ!.... წიმ! წამ. წიმ! მოისმა ბატარა ჩიტის ხმა. გამეორდა ორჯერ სამჯერ კიდევ: წიმ. წიმ! სხვა ჩიტებმაც იგრძნეს გაზთიადის სიახლოვე და დაიწყეს დვთის სადიდებელი ცისკარი. ამ მომაგონდა: „ეფოველი სული აქებდით უფალსა!“ ფიქრობ, რაც დედამიწაზე მფრინველია აქ შეკრებილა. გაჩადა შეხმატკბილებული კადობა! ერთი მათგანიც არ რჩება, რომ თავის ხმას არ უერთებდეს გულთა ხმებში. ადამიანს ძლიესძლიობით რვა ხმაზე მოუხერხებია კადობის დაწყობა მფრინველნი კი, ათიათას ხმებზე კადობენ ამათ არც ლოტბარი სჭირიათ, არც კამერტონი და არც სხვადასხვა საკრავები. კადობენ ენიდან გამოუთქმელ შეხმატკბილებულათ და ეურთა სმენის და— საამოთ. „დიდ ხარ შენ უფალო! და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. აი წმიდა ლოცვა! ადამიანო, რა ხარ შენ?—გაამეებულო ჭიავ! რამდენათ დაბლა დგახარ სიწმიდით ამ ბაწია მფრინველებზე?!

რ. საჯავახელი.

ვოლტერი სასწაულის მოწმე.

(„Echo du Merv“ თარგ. ბ. ლავროვისა).

დურგლის ცოლი ქ. დათოსსი, 45 წლისა, დიდი ხნის დამტვრეული იყო დაკლით და ოთახშიაც არ შეეძლო მისვლა მოსვლა. არა ერთხელ მოუნდომებია მას გამოეკვანინებია ვინმესთვის თავი ქუჩაში უფლის სხეულის დღესასწაულზე, რომ დაკრდომიდიყო წმ. ძღვნის წინაშე და გამოეთხოვა მისგან კურნება. მაგრამ მისი მოძღვარი, რომელსაც უოუოთ არ ჭქონდა ასეთი მტკიცე სარწმუნოება, უშლიდა ამ საქციელს. ბოლოს ადარაგის დაკითხვა, ისე გაუკვანინა ქუჩაში თავი და იმ დროს, როცა ბადლახინი, რომელშიაც მოასვენებენ წმ. ნაწილებს, მოუახლოვდა მას, იგი დიდი გაკვირვებით, ხელებზე ფორთხვით მიუახლოვდა მას და თან იმეორებდა სახარების განრდეულის სიტყვებს: „უფალო, უგეთუ ინებოს, ძალგიძს განკურნებად ჩემდა“. ამ შემოხვევამ საუოველთაო მლელვარება გამოიწვია და ავათმეოფს ცოტა ტანისამოსიც შემოახიეს, რადგან ცდილობდენ მოეშორებინათ იგი ბადლახინს, როგორც შეშლილი. მაგრამ იგი იმავ წამს ფეხზე წამოდგა და გაჭეფა ბადლახინს ეკლესიამდის სხეებთან ერთად.

ამ წამში შემდგარია, კომისსია რომ დაამოწმონ ეს შემოხვევა; მას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სენტ ანტუანის უბანში სცხოვრობენ გუგენოტები. მადალი საზოგადოების ეკეელ. მანდილოსნები ნახულობენ ეხლა ქ. დათოსს, მდგელი კი სოხოვს არ გამოიდეს იგი მეორეთ ასეთ შემოხვევაში, რადგან მისი გამოსვლა დიდ მლელვარებას გამოიწვევს.

ამ სასწაულის სახსოვრათ ეკლესიაში კლიროსზე ჩამოჰკიდეს მარმალოლოს ფიცარი. განსაცვიფრებელი ამბავია: ვოლტერი მოხვდა მოწმეების რიცხვთა შორის და ჩვენება მისცა გამოძიების დროს. თითონ ასე ამბობს იგი ამ შემოხვევის შესახებ: „სენტ ანტუანის უბანში მომხდარმა სასწაულმა სინათლე შეიტანა ჩემს რწმენაში; ჩემი სახელი მოხსენებულია პროტოკოლში. მე სადღესასწაულო დაპატიჟების წერილი მივიღე სამადლობელ პარაკლისზე, რომელიც ქ. დათოსსმა შეუკვეთა განკურნებისათვის“. (წერილი 20 აგვისტ. 1725).

(რებუსი).

✝ გიორგი თოდუა.

20 მაისს გარდაიცვალა და 29 დაასაფლავეს ზუგდიდის ორკლასიანი სავაჟო საეკლესიო სამრევლო სკოლის მზრუნველი გიორგი მოსეს ძე თოდუა, რომელმაც ხსენებულ სკოლას შემოსწირა ფულათ 500 მანეთი, ხოლო ზუგდიდის მეორე-კლასიან საქალებო სკოლას შეეწია ერთ ჯამიერათ ასი მანეთი. გარდა ამისა შეასრულა სკოლისათვის სხვა და სხვა სამუშაო, ღირებული არა ნაკლები 300 მანეთისა. გიორგი თოდუა ხელობით იყო მღებავი (маляръ) და მთელ ზუგდიდის მაზრაში ხშირად უსასყიდლოდ ღებავდა ეკლესიებს

და სამრევლო სკოლების შენობებს. ადგილობრივი ბლაღოჩინების შემოწმებით ამ გვარად ამ პატივცემულ ადამიანს ეკლესიებისა და სკოლებისათვის აღმოუჩენია შემწეობა, ღირებული 3,000 მანეთამდის. ის ცნობილი იყო აგრეთვე, როგორც პატიოსანი და საზოგადოებისათვის ფრიად სასარგებლო კაცი. დასაფლავებას დაესწრო მრავალი საზოგადოება. დაასაფლავეს ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში. დასაფლავების დღეს ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელმა იოანნე გობოხიძემ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ბედნიერია ის საზოგადოება, ღვთისაგან კურთხეულია ის ქვეყანა, სადაც მცხოვრებთა შორის ხშირად გამოერევიან სასარგებლო კაცები, რომლებიც არამც თუ არავის არ აწუხებენ, არავის ვნებას არ აძლევენ, არამედ სულ იმის ფიქრში და მეცადინეობაში არიან, თუ როგორ ასიამოვნონ საზოგადოებას, თუ როგორი დახმარება გაუწიონ მეზობლებს, თუ როგორი სარგებლობა მოუტანონ ხალხს.

აი ასეთი სასარგებლო კაცი იყო საზოგადოებისათვის აწ უკვე განსვენებული გიორგი თოდუა. გიორგი არ იყო ნასწავლი კაცი, ამ მხრით ის არ იყო შესანიშნავი, მაგრამ მას ქონდა მეტად კეთილი, მოსიყვარულე გული. მას უტიროდა გული, როცა ხედავდა სხვის მწუხარებას, სხვის უბედურებას და გაუბრწყინდებოდა თვალები, აევსებოდა გული სიხარულითა, როდესაც ვინმეს გაუღიმებდა ბედი, როდესაც ვინმეს დაინახავდა კმაყოფილს, ბედნიერებს. გახდებოდა ჩვენში ვინმე ავათ, გიორგი აუცილებლად იქ გაჩნდებოდა და, რითაც კი შეიძლებდა, დახმარებასაც აძლევდა ავათმყოფს. მოკვდებოდა ვინმე, გიორგი იმ საათში იქ უნდა გაჩენილიყო და ეკისრა თავის თავზე მიცვალებულის ჭირისუფლობა. მოისურვებდა ვინმე დასახლებას, სახლის გაკეთებას, მარჯვე გიორგი გაგიჩნდებოდა გვერდში, პირველ მრჩეველად, ფეგმის და ხარჯთაღრიცხვის შემდგენელად, მისი კურთხეული მარჯვენა უსათუოდ შეგეწეოდა, დაგასახლკარებდა. მოინდომებდა ვინმე განათლების გავრცელებას, ეკლესიის გამშვენებას, სასკოლო შენობის აგებას, აქაც გიორგი ამოგიდგებოდა გვერდში, როგორც გულითადი თანამგრძნობი, უსასყიდლო მუშაკი და უხვი შემომწირველი. დიაღ ჭირში და ლხინში გიორგი იყო იშვიათი კაცი, საუკეთესო მრჩეველი, გულშემატკივარი და მეგობარი, რითაც მან ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოების პატივცემა და სიყვარული.

მოკვდა ეს ჩვენი გიორგი; მოშორდა ამ წუთისოფელს ეს სასარგებლო წევრი ზუგდიდის საზოგადოებისა; შეჩერდა მაჯის ცემა და გულის ფანცქალი ამ დაუღალავი მუშაკისა.....

მაგრამ ყველამ იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ მადლიერი ზუგდიდის საზოგადოება, რომელიც გიორგის კუბოსთან ღვრის დღეს მდუღარე ცრემლებს, როცა დადგება დრო, როცა საჭიროება მოითხოვს, გიორგის ქკრივსა და ობლებს მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას, თანაგრძნობას და სიყვარულს,- ყველამ იმით უნდა ვინუკეშოთ თავი, რომ გიორგის სახელის პატივცემით ხსენება კიდევ დიდხანს დარჩება არამც თუ მარტო ზუგდიდში, არამედ მთელ ზუკდიდის მაზრაში და ბევრ სხვა ადგილებშიაც,—ყველამ იმით უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ ჩვენმა გიორგიმ უკვე მოიხადა ამ ქვეყნის ვალი, მან უკვე შეასრულა ამ ქვეყნის დანიშნულება, მან ბევრი სიკეთე სთესა, მან ყველასთან თანაგრძნობა და სიყვარული გამოიჩინა და ეხლა შარავანდოსანი მისი სული, იმედია, თამამად წარსდგება წინაშე ღვთისა და მიიღებს მისგან შესაფერ ჯილდოს.

ამ იმედებით გაძხნევებული, ნებას ვაძლევ ჩემს თავს გულდამშვიდებით გამოგეთხოვო და გითხრა: „მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო გიორგი!.. მოანიჭოს უფალმან შენს სულს საუკუნო ნეტარება“ ამინ.

წალმა-უკუღმა.

მოთხრობა კ. წუთისოფლელისა.

I

იორდანე მიქელიას ძე ასლანია ბედნიერ კაცად ითვლებოდა სოფელს ნ.—ში. მართალია, სოფლის შეხედულობით ხანდახან ბედნიერიც კია, ვისაც კაი ცხენი ჰყავს, ან ხარი, მაგრამ იორდანეს ამ გვარად არ დაუმსახურნია ყურადღება, ის მართლაც ბედნიერი იყო, თუ ეს იშვიათი წოდება დაერქმევა ამ ქვეყნად უბრალო მომაკვდავს... ხალხს საზოგადოდ საკუთარი თვალთა-ჰხედვის საზომი აქვს: კაცურ-კაცს და ბედნიერს იმას ეძახის, ვისაც თვალ-საჩინო სამსახური უჭირავს და მოხერხებაც შესწევს, ვინც სიცრუის გუდას ფრთხილად და მოხერხებულად ატარებს, ვისაც აქვს ნიჭი, რომ ხალხს თავი პატრონ-თანამგრძნობელად აჩვენოს—შაურიანი და მანეთიანი დ-სცინცლოს და ბოლოს, ვინც მდიდარია. ვინც ასეთი „ხარისხოვანი“ არ არის და თან ღარიბიცაა, მას რაც გინდა კეთილი გული, ჩვილი გრძნობა, წრფელი სვინიდისი და მახვილი ჰქონდეს, ფასი არა აქვს და სულელ-უნიჭოს სახელს უფრო იმსახურებს, ვიდრე კაცისა და ადამიანისას... ეს განსაკუთრებული კუთვნილებაა სოფლის ხალხისა და მისი წართმევა-წაგლეჯა არც ისე ადვილია, როგორც ეგონათ და ბევრს ახლაც ჰგონია... იორდანე არ ეკუთვნოდა იმ გუნდს, რომელიც ხალხს ისე უყურებს, როგორც მეწველ ძროხას; არც გაიძვერობა დაბუდებულიყო მის გულში და თუ მაინც კაცურ-კაცის სახელს ატარებდა სოფელში, ეს მოხდა მისი იშვიათი ხასიათის და თან სიმდიდრისა გამო. სოფელში მდიდარს იმას ეძახიან, ვისაც მიწა-წყალი სხვაზე მეტი აქვს და სახლ-კარობაც კარგად მოწყობილი, რაც იორდანეს, სოფლის პირობაზე, არ აკლდა. ისიც მიწისგან მოელოდა უზრუნველ ყოფნას, რის გამო მიწაც კარგად შეისყიდა და სხვა შემოსავალიც არ ჰქონოდა, სახარჯოდ მარტო ეს წყარო ჰყოფნიდა... მარტო ეზო შეადგენდა ათ ქცევამდე მიწას, ხელის გულივით სწორს და გარშემო შემოთხრილ-შემოკავებულს, სადაც ედგა მას ერთი ოთხთვალიანი კოხტა ოდა-სახლი, შიგნითაც რიგიანად მორთულ-მოწყობილი. უკან ედგა მეორე ორ-თვალიანი სახლი, რომლის ერთს განყოფილებაში შინაური პირუტყვები მოეთავსებია და მეორეში სამზარეულოს მოწყობილება ელაგა და სამზარეულოც ის იყო. სხვა შენობები: მარანი, ბეღელი, სასისინდეები და კიდევ სხვა ისეთები ედგა, რომ სულსა და გულს იამებოდა... განსაკუთრებით ეზო ჰქონდა დაყოფილი და მოწყობილი: ორ-ორ ქცევაზე ვენახი, თხილი და დაფნა გაეშენებია, რაც უკვე მოსწრებოდა და რიგიან შემოსავალსაც იძლეოდა დანარჩენი ადგილი ეზოკარ მიდამოს ეკუთვნოდა. ეზოც ხომ გემოიანად იყო მორთული და გაშენებული. სახლის გვერდით პატარა ბაღი გაეკეთებია, სადაც სხვადასხვა კაი ჯიშის ხეხილებთან, ისეთს მცენარეებსაც ჰქონდა ადგილი, რომელთაც გამოცდილი მებაღეც ერთხან დააცქერდებოდა; ეტყობოდა, რომ ხეხილებ-ვარდ-ყვავილების მოშენება-ადგილის მოპოვებაში დიდი ეზრუნა პატრონს და კიდეც ყველას შესაფერი ადგილი ეკავა. სახარბიელო იყო ეს პატარრძალივით კოხტად მორთულ-მოკაზმული ბაღი განსაკუთრებით გაზაფხულობით, როდესაც ბუნება ისეთი ადგილებს უხვად აჯილდოვებს ხოლმე. ბაღს გვერდით შესანიშნავი ბოსტანი ეკრა, სადაც თითქმის ზამთარშიც ნახავდით ისეთ ბოსტნეულს, რომლის ხსენება საზოგადოდ სოფელში. თითქმის შემოდგომიდანვე გამქრალია. ოდის კიბიდან მოყოლებული ჭისკრამდის სილა-მოყრილი სწორი გზა იყო გაყვანილი, რომლის ნაპირებზე ბეჯით პატრონს სურნელოვანი ბზა ჩაემწკრივებია ტ შიდა ტ შიდ თანასწორ მანძილზე, კიპაროსის ხეები ჩარგო... დანარჩენი ადგილი ეზოში სათიბს ეკავა და აქა—იქ დიდ-დიდ კაკლის ხეებს უზრუნველად გაეშალათ ლაზათიანი შტოები. ყველაფერი ეს ისეთ სანახაობას

წარმოადგენდა, რომ არ შეიძლებოდა მნახველის ყურადღება დიდხანს არ მიეზიდა ამ ადამიანის შრომის წყალობას... ერთი სიტყვით, რომლის შეხედულობით იორდანე მდიდარი იყო და მეზობლებს ბედისაგან გაკეთებულად მიაჩნდათ, ამის გამო ასნაირ ზღაპრებს თხზავდენ მის შესახებ. ზოგი ამბობდა, რომ იორდანეს გზაში უპოვნია ოქროთ სავსე ქისა და იმისგან გაკეთებულაო; ზოგი ადასტურებდა, რომ მას ხაზეინისათვის მოუპარავს დიდ-ძალი ფული და იმით შეუძენია ქონებაო და ზოგი იმასაც კი ამბობდა, რომ იორდანეს ყალბი ფულების კეთება დაუსწავლია და ტომრობით აქვს თურმე ფულიო. ასე იყო თუ ისე, იორდანეს მდგომარეობა საზოგადოთ ყველას ეხარბებოდა და ეხარბებოდათ იმათაც კი, რომელნიც იორდანეს თან ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი და რომელთა გაჭირვება-დალხინებას იორდანეისე უყურებდა, როგორც საკუთარს და კაი ძალი ფულიც ჰქონდა მათ სასარგებლოთ დახარჯული. მეზობლებს არა თუ მარტო შურდათ იორდანესთვის ის ქონება, რაც მას საკუთარი შრომით და ჯაფით ეჭონდა შეძენილი, არამედ იმასაც კი ცდილობდენ, რომ წაერთმიათ, წაეგლიჯათ, მოეპარათ, ან გამოეტყუებიათ რამე და რამდენად იორდანე მაგრად ეკიდებოდა მის საქმეს, იმდენად მეზობლებს არა კეთილი აზრი ებადებოდათ იმის შესახებ. ეს საკვირველიც არ არის; ეს საზოგადო სენია ადამიანთა შორის: რამდენად კაცი დაშორდება ტოლ-ამხანაგებს ჭკუა-გონებით, ან სხვაგვარ კაცობით, იმდენად მომეტებული მტრები და არა კეთილის მყოფელნი უმრავლდებიან მას იმავე წრიდან. ამ მოვლენიდან არც სოფელია თავისუფალი.

ერთ საღამოს რამდენიმე მოცლილ გლეხებს მოეყარათ თავი და გაემართათ მსჯელობა იორდანეს შესახებ. ისინი დამჯდარიყვნენ სასოფლო გზის პირად ⁄ აებოლებიათ ჩიბუხები.

— ეჰ ძმაო, «ზოგი ბედით და ზოგი უბედურობითო» რო იტყვიან, მართალია; იორდანეს რო ბედი არ შეყროდა, რას შეეძლო მისი გაკეთება? მე რო დღე და ღამე მოსვენება არა მაქ და შაინც ბედს ვიწყევლი, ეს სულ იმის ბრალია, რომ ბედი არ მწყალობს; ჩემი ბედი საცხაა დამარხული, დაწყევლოს ღმერთმა ასეთი ბედი!—სთქვა ერთმა წითელ წვერიანმა და კატის თვალიანმა გლეხმა და ბოლქვა-ბოლქვა გამოუშვე პირიდან თუთუნის ბოლი.

—შენი ბედი, იცი სისოჯან, ლეტეშის ტყეში ყოფილა დამარხული და ზედ ჭინკა აზისო,—ოხუნჯობით მიუგო კატის თვალებიანს ახალ გაზდა გლეხმა, რომელსაც მეტად სანდომიანი სახე ჰქონდა და გამჭრიახი საზრიანის პატრონად ითვლებოდა სოფელში.

—მე ნუ მემასხრები, შვილო, ნუ; არც შენი ბედი ბრწყინავს გზესავით, რაცხა ბედია, შენც ჩემსავით ოხერი ხარ... რას გიკვირს თუ ბედს ვემდური, ჩემთვის ყოველ დღე ორშაბათია. მზის დანაწვისაგან წელიწადში სამჯერ ძძვრება ტყავი, ხელებზე ხორც-მეტს ნაჯახით ვიჭრი და მაინც მშიერ-ტიტველი მიყრია ცოლ-შვილი და მეც, კაი იქნება, თუ წელიწადში სამჯილ გავძეხი: იმის ხელის გულზე ქაღალდივით დეიწერება, აქეთ ხალხს ატყუებს და იქით ხაზეინს და ფული და ქონება მის ხელშია.. ბედი არ დეიწყევლოვო რომ მითხრა, რავა არ დევიწყევლი, რომ ჩემთვის ქვეყნიერობაზე არაფელი არ მეიძება!

ახალ გაზდა გლეხმა ჭკუის გამომხატველი თვალები შეაჩერა მოსაუბრეს; მას უნდოდა ეთქვა, რომ ის ცოტებოდა მსჯელობაში, მაგრამ შეამჩნია, რომ შესაძლებელი იყო ამით გაეჯავრებია ის და არა უთქვამსრა.

— შენ აქოური მამული გიკვირს სისო და ახლა ქუთეისში იკითხე იმის მამული! სახლი ერთი, სახლი მეორე, დუქანი და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ. იქაც უკვირთ მისი ამბავი.—სთქვა ერთმა შავწვერიანმა გლეხმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ სისოზე ნაკლებ, არც ის უნდა ყოფილიყო ბედის მომდურავი.

— ჰო, რაც იქ. ქუთეისში აქო, უნობენ

გასაკვირალია წორეთ. რანაირათ შეიძინა ასე მალე ამდენი ქონება? ტყუილ არ უნობენ ი კაცები, რომ ნაქურდალი აქო, ასე რო არ იყვეს ათი-თორმეტი წლით სუყველა წავა ქუთეისში, რომ ასე ეყაროს იქ, მაგრამ,საცხაა, სხვანაირათ არის საქმე გამოერია ლაპარაკში მესამე გლეხი.

— კაცო გეიგონე ჩემი; არ გეყურება რო გეუმბები ბედია მეთქი-ბედი? ნანახი თუ აქ, ისიც ბედია და ნაქურდალი თუ აქ, ისიც ბედია; აბა შენ მეიპარე რამე, რავა მალე დაგაპალურონ...ის მაინც არა აქ მონაპარი, რომ საცხა შემოლამებია თურმე და ვილაცა ხუცის სახში გაუთევია ღამე, იმ ღამეს ხუცის ქალიშვილი მოწონებია თურმე და მესამე დღეს მისი ხელით მოუყვანია ი ხუცესმა მისი ქალიშვილი აქანე. ქალია, მარა რა ქალი მერე? სამ ოჯახათ ღირს! შენ რო ყოფილიყავი ღამესაც არ გაგათევინებდენ. მოდი და მითხარი ეხლა ბედი არ არის თქო!—უპასუხა წითელ წვერიანმა.

—მართლა შესანიშნავი ქალი კია, მართალი გითხრა,—სთქვა შავწვერამ,—სწორეთ ბედია-ბედი, თვარა ან რამ შამოალამა ხუცის კარზე, ან რავა მოაწონა ერთ ღამეს ქალს თავი, რომ მესამე დღესვე აქ გაჩნდა ი ქალი? მაგრამ ალბათ თათრის წამალი ექნებოდა და წოუცხებდა სადმე. აწი რა ქალია, შენიჭირიმე, რა?! ხელუბანელ მიქელიას შვილს ,,შენიჭირიმე—ბატონოს'' ეძახის; რა იქნება მისთანა, იმის ხელებმა არ გააკეთოს? შრომობს, მუშაობს, იმის მოსვენება არ არის; ან რა მთლამოსავით ხასიათი და ენა აქ?...

—ყველაფერი კაი, მარა ყოლისფრის ბედი არ ექნება კაცსო,რო იტყვიან, მართალი ყოფილა. ყოლიფერი გევრი აქ მარა ერთი შვილის მეტი არ გააჩნია და ისიც შვილი სადაა? ქალი-შვილია—სთქვა მოხუცმა გლეხმა.

— მერე რა ბებრები ისინი არიან, რო შვილი არ გოუჩდეთ? რა ნაგვიანევია, თუ იცით?—უთხრა წითელწვერამ.

— იმის იმედი ნუ ექნებათ,—დაჭკრა კვერი შავ-წვერამ,—რავაც ჩენი ხუცის ჯორს არ გოუჩდება კვიცი, არც იმათ ეყოლებათ შვილი, მარა რა უჭირთ მერე? კიდეც უნჯობესია ქალი-შვილი—ორი შვილია; აწი კიდევ რა ქალი-შვილია? თვალი იმის უკეთეს ვერაფერს ნახავს, ანგელოზივით ქალი-შვილია. ღემნაზიაში სწავლობს,ბატონო,მიქელია ასლანიას შვილის-შვილი! ვინ არ შეირთავს იმას? მე მკითხე შენ და ბზითვები არ ექნეს?

—აწია და რა დინჯია! ჯერ თორმეტი წლის არც კი იქნება და ერთიც რა არი ურიგო სიტყვას ვერ დატყუებ. გამოხატული მამაა ჭკუით. კაი შვილი იქნება, აჩუქოს ღმერთმა,—გრძნობით სთქვა მოხუცმა.

—ისიც ბედია ძმაო,—მწარედ უპასუხა წითელ-წვერამ,—ჩემი რომ იყვეს გამორიტინებული დეიარებოდეს იქნება; იმას რო ბედი აქ, თლათ გადარეული უნდა იყვეს, რო მიდის ასე გეგონება თითო-თითოთ თვლის ფეხის გადადგმასო. ჩემი ჰატარა გუგუცა თავათ იმხელაა, მარა ეშმაკებს ეთამაშება წყეული; ტაშტს რო ჯოხი შემოკრა, დაირა ეგონება და ოცდაათ ბუქნას იზამს. ყოლისფერი ხელზეა,ბედზე და მეტი არაფელი...

—რა დაგიჩემებია კაცო შენ ეს ბედი?—გაერია ლაპარაკში ახალგაზდა გლეხი,რომელ აქამდის ხმას არ იღებდა და ამდენი ბედის ხსენებაზე, ცოტა არ იყოს გულიც მოსვლოდა,—ეს ბედი, ის ბედი, იორდანეს ლიზა თუ ჭკვიანია, ბედი; შენი გუგუცა გამორიტინებულია, ისიც ბედი, თენგენა ბედი, ღამდება ბედი და ყველაფერი ბედი. ბედი კი არა ჭკუაა—ჭკუა და ჭკუას ბედიც თან მოყობა! რას გიკვირს, რომ იორდანეს ლიზა შენს გუგუცას არ გავდეს; მამა ჭკვიანი ჰყავს და დედა, ჭკვიანებმა შვილიც ჭკვიანათ გაზარდეს. არც შენი მამა გავდა იორდანეს მამას და რატომ გიკვირს, რომ იორდანესთანა შენ არ იყვე...

—რითი ჯობნიდა ბიჭო მიქელია მამაჩემს?—გააწყვეტია სიტყვა წითელ-წვერამ,—

მამაჩემს სიმინდი და ღვინო გამოულეველი ჰქონდა და მიქელაა ნახევარზე მშიერი ეგდო. შენ რას მოსრებიხარ იმას, რომ დიდი მცოდნესავით დეიჩემებ ლაპარაკს.

—რაც არ ვიცი' იმას არც კი დევიჩემებ. შ ნ რაღაც ჭკუაზე ხარ მგონია ამ საღამოს. მე იმას კი არ გეუბნები, რომ მამაშენს ბევრი სიმინდი ჰქონდა ბეღელში, ის იკითხე რამდენი ჰქონდა თავში? მე თუ შენხელა არა ვარ. შენზე ნაკლებ არ ვიცი უწინდელი ამბავი. მიქელიასანა ჭკუიანი კაცი მეორე არ ყოფილა ხუთ სოფელშიაც; იმას რომ იმ დროს შვილი გოუზდია, ისე შენ ეხლა ვერ გაზდი შვილს; შენმა შვილმა თუ რამე მისით არ ისწავლა, შენგნით ერთ რამე წამოსადეგს ვერ გაიგონებს და მიქელია თურმე ცინცხალ ორშაბათ დღეს გაიცოენდა, მოუჯდებოდა შვილს და იმას აგონებდა ჭკუა და გონებას; უქირისუფლო, უპატრონო და კაცად გამოიყვანა. რაში გამიკვირდება რომ იორდანეს რამე ჰქონდეს?

(შემდეგი იქნება).

რედაქციის ფოსტა.

ბ. არხელაოზს—თქვენი ლექსის ადგილი არ გვექნება (იხ. შინ. საქ. № 19).

—

ქ. ფოთს, „შინაური საქმეების“ № 17 მოთავსებული „წერილი ფოთიდამ“ დეკ. ა. თოხაძის კალამს არ ეკუთვნის. მაგრამ ვისიც უნდა იყოს, როგორც პირადათ დავრწმუნდით, სრული სიმართლე კია.

—

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს დაუჩქარონ წლის პირველი ნახევრის ხვედრი ფულის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ივნისის დამლევიდგან ჟურნალი მოესპობათ.

მადლობის გამოცხადება.

თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ეკატერინა და დანი ხსენებული მონასტრისანი გულითად მადლობას უცხადებენ სენაკის მოვაჭრე თემურაზ ცავას რომელმაც ყოველ წლივ თავის სიცოცხლეში ოცი ფუთი მარილის შეწირულება აღუთქვა და ილარიონ სიჭინავას მეუღლეს ქ. ქეთევანს რომელმაც თავის პირადი შრომით შეიძინა და შესწირა მონასტერს ზარა წონით სამი ფუთი.

განცხადება.

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
4 ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — — 10 კაპ.
6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ.
7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.

ვამზადებ სამღვდელო და სადიაკვნო საგნებში,

აგრეთვე სამასწავლებლო ეგზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

Типографія Кутаисскаго религіовно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская домъ Кирпцева